სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

24 ივლისი 2026

N 21/10790

შპს „პოლივიმი“-ს

ელფოსტა: info@polyvim.ge

info@enseco.ge

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ (შემდგომ – სააგენტო) განიხილა თქვენი 2026 წლის 2 ივლისის №10073 წერილით წარმოდგენილი საქმიანობის – პოლიეთილენ-ტერეფტალატის (PET) ბოთლების რეციკლირების (ნარჩენების აღდგენა) და პოლიეთერის ბოჭკოს საწარმოს ექსპლუატაციის პირობის ცვლილებაზე სკრინინგის განცხადება და გაცნობებთ შემდეგს:

შპს „პოლივიმი“-ს მიერ სააგენტოში სკრინინგის განცხადება წარმოდგენილია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის საფუძველზე და ექსპლუატაციის პირობის ცვლილებად განხილულია არსებულ საწარმოში პოლიპროპილენისა (PP) და პოლიეთილენის (PE) ტომრების საწარმოო ხაზის დამატება, სადაც ძირითადად სს „რუსთავის აზოტი“-ს მიერ მიწოდებული პოლიეთილენის და პოლიპროპილენის ტომრების დამუშავებაა დაგეგმილი.

ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მხედველობაშია მისაღები, რომ სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ სააგენტოში წარმოდგენილი ინფორმაციით 2025 წლის განმავლობაში შპს „პოლივიმი“-მ საწარმოში დაასაწყობა 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენი, რაზეც „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება არ გააჩნია. მითითებულ („საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^7 მუხლის პირველი ნაწილი) და ინსპექტირებისას გამოვლენილ სხვა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე შპს „პოლივიმი“-ს მიმართ 2025 წლის 30 დეკემბერს შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №098464 ოქმი, რომელიც განსახილველად რუსთავის სასამართლოს გადაეგზავნა.

სასამართლოს გადაწყვეტილებით შპს „პოლივიმი“ ცნობილი იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენად, მათ შორის, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 79^7 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენაში, რაც გარემოზე ზემოქმედების შეფასებისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გარეშე განხორციელებას გულისხმობს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ I დანართის მე-16 პუნქტით გათვალისწინებული გარემოზე ზემოქმედების შეფასებისადმი დაქვემდებარებული

საქმიანობის (წელიწადში 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის აღდგენა ან/და განთავსება) განსახორციელებლად და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მისაღებად, შპს „პოლივიმი“ ვალდებულია, უზრუნველყოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი შესაბამისი პროცედურების გავლა.

აქვე გაცნობებთ, რომ შპს „პოლივიმი“-ს მიერ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის საფუძველზე წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაზე, ამავე კოდექსის მე-7 მუხლის 5^1 ნაწილის საფუძველზე, სააგენტო წყვეტს ადმინისტრაციულ წარმოებას.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/10790-21-2-202607242035

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE